ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 900 ოთხშაბათი, 22 მაისი 1913 წ. № 900

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, გაიმართება სეირნობა
ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.
საზოგადოების გამგეობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება. 1201

ღრმად შეწუხებულნი **დედა, შვილები, დები, სიძე და დისწულნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ **ცარსში** ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ტიმოთე გრიგოლის ძე ურუშაძე
1218

რახილ ლევანის ასული თავზარაშვილისა და მიხეილ მიხეილის ძე თავზარაშვილი გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ
თ-დის სვიმონ ნიკოლოზის ძის **წერეთლის**
გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 22 მაისს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოასვენებენ დილის 9 საათზე, საკუთარი ბინიდან (პესკოვის ქ., სასტუმრო „ბირიუზა"). 297

შაიევსკის თეატრში ბ ა თ ო მ ი. შაიევსკის თეატრში
ოთხშაბ თს, 22 მაისს,
I) **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს **ლექციას**
„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია".
II) **ი. გრიშაშვილი** წაიკითხავს თავის ლექსებს, ხოლო **გრ. რობაქიძე**—ლეგენდებს. დაწვრილებით პროგრამებში, ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს.** ადმინისტრ. **ვიქ. ქავთარაძე.** 1215

ტფილისის სავაჭრო
ბ ა ნ კ ი
აცხადებს, რომ ზაფხულის 3 თვის განმავლობაში, ბანკის დარკინულ სალაროში
მიიღება შესანახავ
განძეულობის დასაფარი ყუთები.
სულ პატარა № 1—3 მ., პატარა № 2—3 მ. 50 კ., საშუალო № 3—5 მ.
1212

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები**:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით [illegible]—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 10 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რძის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოლაძის** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხეზე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ახალი კლუბი
საზაფხულო თეატრი
შაბათს, 25 მაისს, 1913 წ. გაიმართება პირველი სიმფონიური
კონცერტი
ვ. ი. ზელიონის ლოტბაროზით და პიანისტის **ლეონ პიშნოვის** მონაწილეობით:
პროგრამა: კალინნიკოვი—სიმფონი g. moll, ჩაიკოვსკი—კონცერტი B moll ფორტეპიანოსთვის ორკესტრით, ლისტი—Les Prëludes და სხვა.
1162 დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ახლად დასტამბული წიგნები:

ვეფხის-ტყაოსანი ინგლისურად ნათ. ვორდროპის მიერ	ფ. 6—კ.
გრიშაშვილი ბროლის ღიმილი	10 „
გაბაშვილი ე. მაგდანას ლურჯა	5 „
დავით ეპისკოპოსის სიტყვანი I	10 „
„ „ იგივე II	15 „
ერისთავი დიმ. ნაწ. დაუს. რომანი.	20 „
ვართაგავა იპ. ევდოშვ. პოეზია	15 „
თაფლი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა, წულაძის თარგმ.	5 „
ლომოური ნ. ალი	10 „
„ „ ქაჯანა	5 „
მღვიმელი. ცვარი	20 „
ნინოშვილი ე. ორი პუბ. წერილი	5 „
„ „ არშიყნი . . .	5 „
„ „ განკარგულება .	5 „
„ „ მოსე მწერალი .	10 „
ნინოშვილის ბიოგრაფია, დასაფლავება და კრიტიკული გარჩევა, ი. გომართელისა . .	15 „
Ниношвили Игнатiй	5 „
ნიკოლაძე ნ. ჩემს პოლიტიკაზე	10 „
რამიშვილი ტრ. ცხოვრების ნაწყვეტი დრამა 1 მოქმ. . .	15 „
ბრიე. დასჯილნი პიეს. სამ მოქ.	40 „
ყიფშიძე ალ. კანონი გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ დ დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა, ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიებში	30 „
Временная инструкцiя должностнымъ лицамъ и учрежденiямъ по приведенiю въ исполненiе закона 20 декабря 1912 года	30 „
ქუონია ილიას ნაწერები . .	1 მან.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი **ქუთაისში** **ვ. თ. ტუღუშლაშვილი.**
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **ხაშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, **სადგურის** განყოფ. პირდაპირ. 102

18 მაისს, შაბათს ნაშუადღევს ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, კურცხალიას შუშის საწყობთან დავკარგე ფრიად საჭირო ქაღალდები: ერთი **ნოტარიალური ხელშეკრულება** და ერთი **უბის წიგნი** სხვა და სხვა საჭირო საბუთებით. უმორჩილესად ვთხოვ მპოვნელებს მომაწოდონ ეს ქაღალდები 19 თებერვლის ქუჩაზე „პარიზის" სასტუმროში, რისთვიაც გასამრჯელოს მიიღებენ.
293 **ივგორ ლორთქიფანიძე.**

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ვორონოვი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შ. ბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აცრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით 1053

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

20 მაისის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გრძელდება.

კსენძი მაცეევიჩი წინა სხდომაზე დაწყებულ სიტყვას აგრძელებს. მოჰყავს იმის საბუთები, თუ რაგვარ შევიწროებაში და დევნაში იმყოფებიან კათოლიკენი. რათა მცხოვრებთა და მთავრობის შორის თანხმობა ჰსუფევდეს, საჭიროა ხელმეორედ შემუშავება სხვა სარწმუნოებათა წესდებისა და სარწმუნოებრივი ყოველგვარ თავისუფლების მინიჭება კათოლიკეთათვის.

მღვ. გეპეცკი. უპასუხებს მილიუკოვს სარწმუნოების საკითხის თაობაზე და შემდეგ აღნიშნავს: ტყუილუბრალოდ აბრალებენ მოლდავანებს სეპარატიზმს. 1905 წელს, როდესაც სეპარატისტულმა მოძრაობამ თითქმის ყველა ერის ცხოვრებაში იჩინა თავი, რუსეთის თვითმპყრობელის და რუსეთის ერთგულად მხოლოდ მოლდავანები დარჩნენ (მემარჯვენეთა, ნაციონალისტების და ცენტრის ტაში). მიუხედავად ამისა მთავრობა დიდის ყურადღებით არ ეკიდებოდა ბესარაბიას. რუსეთის საზოგადოება არ იყო ბესარაბიით დაინტერესებული და პრესაში კი ყოვლად უგუნური აზრიც გამოითქვა: ბესარაბია რუმინიის სამეფოს დაუბრუნდესო.

პეტროვსკი. სოც.-დემოკრ. სახელით აღნიშნავს უკრაინელთა და სხვა ეროვნებათა აუტანელ მდგომარეობას. რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობა მოკლებულია საშუალებას თავის ენაზე ილაპარაკოს. მოლაპარაკე გამოეკამათა მაცეევიჩს. სოციალ-დემოკრატები სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმასო, განაცხადა მოლაპარაკემ.

მღ. ოკოლოვიჩი უპასუხებს მაცეევიჩს და აღნიშნავს ურთიერთობას ლატიშებისა, ლიტოვცებისა და მარიავიტებისას ერთის მხრით და პოლონელთა მეორის მხრით. პოლონელები თვის მოძმეთაც კი სჩაგრავენო. ეროვნულსა და სარწმუნოებრივ ბრძოლის ბრალს პოლონელნი რუსეთის მთავრობას სდებენ, რუსის მცხოვრებთ კი ამაში დამნაშავედ თვით პოლონელნი მიაჩნიათ. პოლონელებმა უნდა თავი დაანებონ უნაყოფო ოცნებას—გარდაცვალებულ პოლონეთის აღდგენას. რუსის ხალხი თავის დღეში ვერ მოინელებს იმას, თუ მთავრობა პოლონელთა მიმართ დათმობის გზას დაადგება. „მართლმადიდებული ძლევამოსილი და განუყოფელი რუსეთი"—აი რას იტყვის რუსის ხალხი (ტაში მარჯვნით).

როდიჩევი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი მოქმედება, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა პოლიციის მოღვაწეობაში გამოიხატება. მოლაპარაკის აზრით, ეს ძველი წესრიგის აღდგენაა. მაგრამ, როდესაც მეფემ რუსეთის ზნეობრივი განახლება აღგვითქვა, საჭიროა ამ საქმეს სათავეში ახალი ხალხი ედგეს, საჭიროა სახელმწიფოს მესვეურნი მიჰმართავდნენ ხოლმე მხოლოდ უფლებრივ საშუალებას და სხვა არაფერს (ტაში მარცხნით).

იაგულოს მოჰყავს იმის ცნობები, თუ რა სასტიკ ზომებს იღებენ პოლონელთა მუშების წინააღმდეგ. პოლონელ მუშათა ინტერესების დამცველნი არ არიან კოლოს წარმომადგენელნი. მათი ერთად-ერთი დამცველი და საზოგადოდ ერთა დამცველი სოციალ-დემოკრატების ფრაქციაა,

ალექსეევი ოქტომბრისტთა ფორმულის წინააღმდეგ ლაპარაკობს, ვითომც მთავრობა განაპირა ქვეყნებში ერთა შუღლის პოლიტიკას აწარმოებდეს და ამით რუსეთის ძლევამოსილებას ასუსტებდეს. ასეთი განცხადება მხოლოდ პოლონელ მცხოვრებთა წარმომადგენლებისაგან გვესმის. მთავრობა არამც თუ არ სჩაგრავს პოლონელებს, პირიქით, მთავრობას საყვედური უნდა შეუთვალოთ, რომ ლიტველების პოლონიზაციას ხელს არ უშლიდა. რუსეთის მთავრობა ყოველთვის მზრუნველობას იჩენდა და იზრუნებს კიდეც პოლონელ გლეხთათვის. რუს მცხოვრებთა მიმართ საყვედურიც არ არის სამართლიანი. იგი ყოველ საყვედურის მაღლა სდგას. პოლონელთა არც კულტურა, არც ენა და არც სარწმუნოება არ არის დევნილი. თავი დაანებონ და მოასვენონ პოლონელებმა ლიტვა, რომელსაც ისინი რუსეთის მხარეს უწოდებენ, დეე მათ შეიგნონ, რომ რუსეთის სახელმწიფოს აქვს თვისი ეთნოგრაფიული საზღვრები. რუსი ნაციონალისტები ყოველთვის აღვიარებდნენ თვის სარწმუნოების სიმბოლოს: „იცოცხლე და სხვასაც მიეც სიცოცხლის სახსარი!" (ტაში მარჯვნივ).

სკოროპადსკი. უკრაინელთა არამკითხე წარმომადგენლებს უპასუხებს, ყველა უკრაინელი თავისთავს რუსად სთვლისო. უკრაინელნი, ბელორუსები და ველიკორუსები ერთნი არიან და ყოველთვის ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ივლიანო. თუ კი უკრაინაში განცალკევების მისწრაფება ჰსუფევს, მხოლოდ ინტელიგენციის ნაწილში, რომელმაც ეროვნული გრძნობა დაჰკარგა. ამ მიდრეკილებას მასსამდის არ მიუღწევია. უკრაინელთათვის არავითარი ავტონომია საჭირო არ არის, მათ ჰსურთ ერთიანი ძლევამოსილი რუსეთი (ხანგრძლივი ტაში ნაციონალისტებისა და მემარჯვენეთა).

ლაუკატის. პოლონელთა და რუსთა მტრობა ფრიად ცუდად ჰმოქმედებს სრულიად უდანაშაულო ლიტველებზე. ლიტველებს ისე ექცევიან, როგორც პოლონელებს: ისინი შევიწროებულნი არიან ყოველივე უფლებებში; ლიტველთა შორის სრულიადაც არ არსებობს სოციალისტური და სეპარატისტული მოძრაობა. ლიტველთა მისწრაფება ეროვნულ თავდაცვისკენ არის მიმართული; მიიღებენ თუ არა სამოქალაქო თანასწორებას, ლიტველები ხელს შეუწყობენ რუსეთის მთლიანობის და ძლევამოსილების განმტკიცებას.

ხვოსტოვი მემარჯვენეთ დროულად არ მიაჩნიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დაწვრილებითი განხილვა. ერთად-ერთ წმინდა მოვალეობას წარმოადგენს ხელმწიფის დაცვა. მინისტრის და მის თანაშემწეთა მოვალეობა უფრო ძნელია, ვიდრე სტოლიპინისა იყო. მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთ ესმოდათ რა ამაყი სიტყვა „ვერ შეგვაშინებთ!" თვის გულს რევოლიუციონერების ტყვიებს უშვერდნენ გაბედულად და იტანდნენ კადეტთა პარტიის ცილისწამებას. ეხლა საქმის ვითარება შეიცვალა. ამ კათედრის სიმაღლიდან მთავრობის წარმომადგენელთაგან გვესმის სულ სხვა ლოზუნგები, გვესმის სადიდებელი ჰიმნი მარჯვნივ და მარცხნით მოქანავე საქანელისადმი. მოლაპარაკე ეკითხება, რას მოიქმედებენ ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი მღელვარების დროს, როდესაც ესმით სადიდებელი სიტყვები საქანელასადმი. დემოკრატიული ტალღა ჰზვირთდება და იზრდება, იგი ჩამოჰრეცხავს ჩვენი სამშობლოს სიდიადეს, თუ ამ ტალღის წინააღმდეგ მივუშვერთ მხოლოდ კანცელარიას, ჩვენ დავიღუპებით. მემარჯვენენი ფართო რეფორმებს მოითხოვენ, მხოლოდ რეფორმებს სარჩულად უნდა ედოს მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა რუსის ხალხოსნობა (ტაში მარჯვნით).

დასასრულ ილაპარაკა **სვენციცკიმ**, რომელმაც აღნიშნა ეროვნულ-სარწმუნოებრივი დევნა ჩრდილო-დასავლეთ მხარეში.

კამათი დასრულდა. მილიუკოვმა კადეტების სახელით, იანუშკევიჩმა შრომის ჯგუფის სახელით და ტევკელოვმა მუსულმანთა სახელით, წაიკითხეს მიზეზები, რის გამოთაც ხარჯთ-აღრიცხვას უარჰყოფენ.

მიიღეს პირობითი გადასახადების კრედიტი და პირველი მუხლი: „ცენტრალურ დაწესებულებათა შენახვა". შემდეგი სხდომა 22 მაისისთვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მისაბაძი მაგალითი.** როგორც გავიგეთ, ძმებს იოსებ და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეთ, ბარათაშვილებს უჩუქებიათ გლეხებისთვის ბორჩალოს მაზრის სოფელ ბორბალოში მდებარე: 105 დესეტინა სანადელო მიწა და 60 დესეტინამდე საძოვარი და სამოსახლო ადგილი, ბაღებით და ზვრით. საჩუქრის მთელი ღირებულება 17,000 მან. უდრის.

◆ **პოლიტეხნიკუმის** ადგილის ასარჩევად საუწყებათაშორისო კომისიაში დაინიშნა მეთორმეტე წევრად მომრიგებელი შუამავალი ვ. ნ. პავლოვი.

◆ **წესიერი დასვენება.** დღეს, საღამოს, კრება ექნება ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისიას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სახელოსნო დაწესებულებებში წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებათა პროექტი.

◆ **სახელმწიფო ბანკის** ტფილისის კანტორაში განვლილ აპრილის განმავლობაში შესანახად შეუტანიათ 102,789 მან., გაუტანიათ—42,548 მან. 20 კ. 1913 წლის 1 იანვრიდან 1913 წლის 1 მაისამდე სულ შეუტანიათ—

398,101 მან., გაუტანიათ—154,134 მან. 47 კ.

◆ როგორც „კახეთის ხმა“ გადმოგვცემს, სიღნაღში არსდება სიღნაღის მაზრის სამეურნეო ამხანაგობა. 19 მაისს დანიშნული იყო ამხანაგობის დამფუძნებელი კრება.

◆ **საბირჟო ცნობები.** 20 მაისს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—86 მან. 60 კ., აძლევენ—85 მ. 25 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 60 კ., აძლევენ—83 მ. 35 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან., 75 კ., აძლევენ—79 მან. 70 კ.

◆ **ახალი გაზეთი.** ტ. მ. კეკელიძემ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს მას, გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური გაზეთი ქართულ ენაზე, სახელად „აზრი“.

◆ **დასაფასებელ გადასახადის აკრების** მოწესრიგების საკითხი ქალაქის გამგეობაში უკვე აღძრულია. ამ ჟამად ეს საქმე მეტად უწეს-რიგო მდგომარეობაშია. თავის დროზე მცხოვრებთ ხშირად გადასახადს არავინა სთხოვს, ხოლო როცა დიდი გადასახადი გროვდება რამდენისამე წლის განმავლობაში, მაშინ გამგეობა ფულს ერთბაშად თხოულობს და რეპრესიულ ღონის-ძიებათ ხმარობს.

◆ **შემწეობა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, 1,697 მან. 19 კ. შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის მუშად ნამყოფს შიო არჩუაძეს, რომელიც 1904 წლის 9 აგვისტოს ნაძალადევში ქვის მტვრევის დროს იმდენად დასახიჩრდა, რომ მუშაობის უნარი დაჰკარგა.

◆ **კალიის** წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მისაღებად ტფ. საბოტანიკო ბაღმა მუღანს გაჰგზავნა სპეციალისტი ა. ზაიცევი.

◆ **აკრძალულია** დღეს, ამაღლების წინა დღეს, წარმოდგენებისა და სხვა გასართობთა გამართვა.

◆ პოლიცმეისტერმა პოლიციელთ და მეეზოვეთ დაავალა, ღამის 11 საათის შემდეგ სასტიკი თვალყური ადევნონ **საეჭვო პირებს**, რომელნიც ქუჩაზე ბარგით გაივლიან იმის გამოსარკვევად, ნაპარავი რამ ხომ არ მიაქვთ. აგრეთვე დაავალა, ფხიზლად უყარაულონ მაღაზიებს, რომ კედლები არ გაანგრიონ და არ გაქურდონ.

◆ **სამართალში მისცეს** საპოლიციო უბნის ზედამხედველი სალარიძე, რომელმაც მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა ნიკოლოზ ზალიაშვილს.

◆ გუშინ, **დასავლეთ კავკასიის დაპყრობის დღეს**, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისის შემდეგ არსენალის მთაზე 21 ზარბაზანი გაისროლეს. წირვა-პარაკლისს დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ნ. პ. შატილოვი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უმაღლესი წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, მოჰხდება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელსაც გარეშე პირნიც დაესწრებიან. გამგეობა განიხილავს ბ-ნ ს. ციციშვილის მოხსენებას ქართულ საადგილ-მამულო ბანკებთან გეოლოგიურ კომისიის (სექციის) დაარსების შესახებ. მომხსენებელი განიხილავს, აქვს თუ არა ბანკებს იურიდიული უფლება ასეთი კომისიის დაარსებისა, აქვს თუ არა ბანკებს ამისთვის საჭირო თანხა და რა სარგებლობას მოგვიტანს იგი მინერალურ სიმდიდრეთა გამოკვლევის დროს.

◆ **ხარფუხის საზოგადო კლუბის** დამაარსებელთა კრების გაგრძელება 19 მაისს მოხდა პ. ა. გოთუას თავჯდომარეობით. კრებამ მოიწონა კლუბის შენობის გადაკეთების პროექტი, რომლის განხორციელება მამასახლისთა საბჭოს დაევალა. უნდა დაიხარჯოს 3,000 მან. კლუბის მამასახლისებად აირჩიეს: ა. ს. არისტაკოვი, ალი-მამედი, გასან-ზადე, დ. მ. დუმბაძე, ი. ი. ზაზეგაილოვი, კ. ა. მეხუზლა, ნ. ნ. რაზმაძე, ს. გ. პეპანოვი, გ. მ. შათირიშვილი, ს. ზ. ხარაზოვი და ი. ა. ქელიძე, კანდიდატებად აირჩიეს: უ. ახმედოვი, ს. დ. ლონლაძე, დ. ს. გომელაური, ი. ა. ბაჟბეუკ-მელიქოვი და თ. მ. კეკელიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: რ. მ. გრიგოლოვი, ი. გ. ივანიძე და ს. გ. თითბერიძე. კანდიდატებად: ვ. შ. ქვიშკაძე, ბ. იაშვილი და ვ. ნ თოფურია..

◆ **„განათლების“ საზოგადოების** გამგეობის უკანასკნელ კრებაზე გადაწყდა, რომ 3 თიბათვეს მოიწვიონ საზოგადოების საგანგებო კრება, რომელსაც გამგეობა წარუდგენს სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის გახსნის გეგმას.

„სახალხო გაზეთის“
კანტორისაგან.
მოვაგონებთ წლიურ ხელისმომწერთ, რომ,ვინც **პირველ თიბათვემდე** ხვედრ ფულს (2 მან.) არ შემოიტნას, გაზეთის გზავნა **მოესპობა**.

◆ **სამღვთო სჯულის მასწავლებელთა კრება.** გუშინ რეალურ სასწავლებლის შენობაში, ერევნის ეპისკოპოს **პიმენის** თავმჯდომარეობით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშუალო სასწავლებლების სამღვთო სჯულის მასწავლებელთა კრება დაიწყო. კრების დაწყებამდე გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრო საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტიც.

ტფ. ქალაქის საბჭო

20 მაისის კრება.

კრება საღამოს 9 საათზე იწყება ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით, რომელიც, ხმოსნებთან თათბირის შემდეგ, აცხადებს, რომ საბჭოს უკანასკნელი კრება ამ სეზონში იქნება 10 ივნისს.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავი აცნობებს ხმოსნებს, რომ ის მიწვეულია **საუწყებათაშორისო კომისიაში**, რომლის შემადგენლობაც ოფიციალურად გამოცხადებული არ არის; კომისიის თავმჯდომარედ მეფის მოადგილის საბჭოს წევრი მ. პ. გაკელია, რომელიც დანიშნავს კომისიის კრებებს; გამოურკვეველია ისიც, კომისიის დადგენილება პირდაპირ მეფის მოადგილეს წარედგინება განსახილველად, თუ ჯერ მთავარ საპოლიტექნიკუმო კომიტეტში იქნება განხილული.

ხმ. ალადადანოვი. დიდად სამწუხაროა, რომ კომისიაში არ მოხვდა თ-დი გ. მ. თუმანოვი, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის საქმის მთელი ვითარება და ბევრიც იშრომა უმაღლეს სასწავლებლის გახსნისათვის. საჭიროა, აღვძრათ შუამდგომლობა, რათა თ-დი თუმანოვი კომისიაში წევრად დანიშნონ.

ა. ი. ხატისოვის აზრით ასეთ შუამდგომლობის აღძვრა ნაადრევია, რადგანაც მას გადაწყვეტილი აქვს, ყველაფერი ის, რაც კომისიაში მოხდება, დაწვრილებით და თავის დროზე გადასცეს ხოლმე ხმოსნებს ძირითად საკითხების გამო კი საბჭო საგანგებო კრებებიც მოიწვიოს.

ამის შემდეგ კრებას ეცნობა წინადადება გუბერნატორისა, რომელიც უარჰყოფს საბჭოს დადგენილებას ხელმწიფე იმპერატორისთვის პურმარილის მირთმევის შესახებ.

კითხულობენ ქალაქის გამგეობის მოხსენებას **საქალაქო სკოლებში სამღვთო სჯულის მასწავლებელთა დანიშვნისა და დათხოვნის** შესახებ. საქმის ვითარება მკითხველთ თავის დროზე ვაცნობეთ: ქალაქის გამგეობამ სასწავლებლებში დაუშვა ეგზარხოსის მიერ დანიშნული მასწავლებელნი და თან რუსეთის ქალაქებს შეეკითხა, ვინ ნიშნავს სამღვთო სჯულის მასწავლებლებს ქალაქის თვით-მმართველობა, თუ სასულიერო უწყებაო. პასუხი მიიღო მხოლოდ პეტერბურგის ქალაქის საბჭოსაგან, რომელმაც აცნობა, სამღვთო სჯულის მასწავლებლებს ირჩევს სახალხო განათლების კომისია და შემდეგ კანდიდატები სახალხო სკოლების ინსპექტორის საშუალებით სასულიერო უწყებას ედგინება დასამტკიცებლადო. ქალაქის გამგეობამ განიხილა მთელი მასალა, მოისმინა ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწის იუზბაშევის დასკვნაც და ის აზრი გამოიტანა, რომ სასულიერო უწყებასა და ქალაქის თვით-მმართველობის შორის ამ შემთხვევაში რაიმე დიდი უთანხმოება არ არის და ამიტომ საქმის გართულება არა ღირს, მით უფრო, რომ ეგზარხოსმა ინოკენტიმ და სომეხთა საეპარქიო უფროსმა ეპისკოპოსმა მესროპმა თანხმობა განაცხადეს, დაამტკიცონ ქალაქის თვით-მმართველობის კანდიდატები, რათა ერთხელვე შემოღებული ტრადიციები არ დაარღვიონ.

მოხსენებას საბჭო მხედველობაში იღებს.

ხანგრძლივ და ცხარე კამათს იწვევს **ჩქარის სამკურნალო დახმარების აღმომჩენ სადგურის საკითხი.** სადგურს ინახავს თავის ხარჯით გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა. ხარჯების ერთი ნაწილი კერძო შეწირულობით იფარება. სადგურს წლიური შემოსავალი 500 მ., ხარჯი—4,500 მ. რადგანაც სადგურს დღეის შემდეგ ნივთიერი საშუალება არ მოეპოვება დამოუკიდებლად არსებობისათვის, ამიტომ აღძრულია საკითხი: ჩაიბაროს ქალაქმა სადგური და თავის ხარჯით შეინახოს.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი. თხოულობს, ქალაქმა სადგური არ ჩაიბაროს, მხოლოდ აძლიოს ყოველწლიური სუბსიდია, რადგანაც სადგურს ბოლოს და ბოლოს დიდი ხარჯები ექნება.

ა. ი. ხატისოვი. სადგურის ნივთიერი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. კასაში ამ ჟამად სულ 200 მ. აქვს. პირველ ივნისიდან მოისპობა სადგურის ფრიად ნაყოფიერი მოქმედება.

ხმ. ავთანდილოვი ურჩევს საბჭოს, სადგური მიიღოს, რადგანაც მისი დიდი მნიშვნელობა ცხადზე ცხადია.

ხმ. მიტკევიჩი კითხულობს დაბეჭდილ მოხსენებას სადგურის დაარსების შესახებ. იქ, სხვათა შორის, სწერია, რომ ქალაქს არ შეუძლიან სადგურის შენახვა, რადგანაც ნივთიერად ხელმოკლეაო. განა მას უკან—კითხულობს ხმოსანი—დიდი დრო გავიდა და ქალაქის საფინანსო მდგომარეობა გაუმჯობესდა? ხმოსანი წინააღმდეგია სადგურის ჩაბარებისა.

ხმ. ხუნუნცი აღნიშნავს, რომ სადგური კარგი საქმეა, მაგრამ ქალაქს ნივთიერ ხელმოკლეობის გამო ყოველ კარგის საქმის განხორციელება არ შეუძლიან, ამიტომ წინააღმდეგია სადგურის მიღებისა.

ა. ი. ხატისოვის აზრით შესაძლებელია, ქალაქმა სადგური ჩაიბაროს, რეორგანიზაცია მოახდინოს და ხარჯები შეამციროს.

ხმ. ავთანდილოვი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ამბობენ, ქალაქის თვითმმართველობა ცალმხრივად მოქმედებს, მხოლოდ სამკურნალო ნაწილს აქცევს ყურადღებასაო. ორატორის აზრით ეს სიმართლე არ არის, რადგანაც უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში თვითმმართველობა დიდის ყურადღებით ეკიდება როგორც სამკურნალო საქმეს, ისე სწავლა-განათლებისას და სხვა დარგებს.

საბჭომ დაადგინა, სადგური არ ჩაიბაროს, მიეცეს წელს შემწეობად 2,000 მან. და შემდეგ წლებში დახმარების აღმოჩენის შესახებ მსჯელობა იქონიოს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

კამათს იწვევს **ვერის პარკის** გაფართოვების საკითხიც. პარკის გასაფართოვებლად განზრახულია, შეიძინონ ქ-ნ ა. ი. ტურკოვსკის მიწა 40,000 მან. თვითეული ოთხკუთ. საჟენ 4 მან. 80. კ.

ხმ. ხუნდაძე. ტურკოვსკის ადგილი ყველაფრისთვის კარგია, მხოლოდ პარკისთვის კი—არა. მის მოსაწესრიგებლად და ნიადაგის შესაქმნელად დიდი ფულია საჭირო.

ხმ. ტიგრანოვი. იქ მშვენიერი პარკის გაშენება შეიძლება. მართალია ადგილი ფერდობს წარმოადგენს, მაგრამ პარკის გასაშენებლად საჭირო ნიადაგი მოიპოვება. ოთხკუთხი საჟენი ღირს 3 მ. საფინანსო კომისიამაც 25,000 მან. შეაფასა მთელი ის მიწა.

ა. ი. ხატისოვი. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სატყეო-საბაღოსნო, საფინანსო, სასკოლო და სხვა კომისიათა წევრებმა, რომელთაც შესაძლებლად სცნეს ტურკოვსკის მიწაზე მშვენიერ პარკის გაშენება. შესაძლებელიც ნორმალურად არის. ვერის პარკზე 30,000 მანეთია დახარჯული; ახალი მიწის შეძენის შემდეგ პარკს სხვა ფასი დაედება. სხვათა შორის, განზრახულია, გაკეთდეს მტკვარზე ფეხით სავალელი ხიდი ახლანდელ ბორნის მაგიერ. ხიდს გააკეთებს პარკი და ხელმისაწვდომი იქნება მტკვრის მარცხენა ნაპირის მცხოვრებთათვისაც, მაგრამ ჯერ საჭიროა მიწის ყიდვა და შემდეგ გზების გაყვანაზე ზრუნვა.

ხმ. სვეშნიკოვი. თუ კი ვერის პარკი, რომელიც ჩრდილოეთ ქედზეა გაშენებული, მწვანით არის შემოსილი, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთივე არ იქნება სამხრეთის ქედი. ბორნის მაგიერად ხიდია საჭირო. ამას გვერდს ვერ აუქცევთ. ხიდის გაკეთების შემდეგ ფასი დაედება თვით მიწასაც.

კამათში კიდევ მონაწილეობას იღებენ ხმოსნები: ქსავერიევი, ხუნუნცი, ხუნდაძე, კეილი, ბაღდასაროვი, ბაბოვი, დოლუხანოვები, დონოვი, ალექსი-მესხიშვილი, ტიგრანოვი და სხვანი. ხმოსანთა შორის ზოგი მეტის მეტი მოწინააღმდეგეა ამ მიწის შეძენისა, ზოგი—თავგამოდებული დამცველი.

რადგანაც ხმოსნებს შორის ასეთი დიდი შეუთანხმებლობაა მიწის შესახებ, ამიტომ გადასწყდა, ეს ადგილი

ვახტანგ ორბელიანი

(დასასრული*)

თქმა არ უნდა, რომ მეამბოხეთ შესაფერისათ განსაჯიდნენ. ამ კატასტროფის დროს დაიჭირეს ვახტანგის უფროსი ძმებიც: ალექსანდრე და დიმიტრი. თვითონ ვახტანგი 11 თვის განმავლობაში ჯერ ტფილისში ჰყავდათ დაჭერილი, ხოლო შემდეგ გადაასახლეს კალუგაში.

მეტად მოსაწყენი იყო ეს ამბავი. დასევდიანებული პოეტი თვალ ცრემლიანი ემშვიდობება თავის საყვარელ მამულს, თავის „ვენახს“, რომლის კვლავ ხილვა ექვადა აქვს წარმოდგენილი. აჰა, დადგება საზარელი წამი, წამი უკანასკნელის გამომშვიდობებისა:

„მშვიდობით, ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო,
ბორცვნო, ჭალაკნო მშვენიერნო, ტურფა არენო,
მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცად აბჯენილნო,
წყალნო ალმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო...!“ ბ სხ. (58 გვ.)

ამ გამოსალმების შემდეგ პოეტი მიჰყავთ ჩრდილოეთისკენ. კალუგა, მართალია, არ არის მისთვის სრული შებორკილება, პირიქით, როგორც შვილს რუსეთის ერთგულ მსახურისას, მას დიდ შაღავათს აძლევენ, გუბერნატორის კანცელარიაში მუშაობს, მაგრამ გული მისი სავსეა ბოღმით, დაკარგულ და გულიდან მოწყვეტილ სამშობლოს მოგონებით. იგი ამაოდ სცდილობდა დრო როგორმე მოეკლა. ვერც ტლანქმა სამსახურმა, ვერც სხვა რამემ ვერ დაავიწყეს პოეტს თავისი „საყვარელი ვენახი“. ერთად-ერთი მისი დიდი გართობა ამ ხანაში უცხო მწერლების კითხვა იყო. ამ მხრით მან მართლა სავსებით დაამთავრა თავისი განვითარება, რამაც დიდი მსოფლ-მხედველობა გამოამუშავებინა მას. აი, ამ დროს ეკუთვნის მისი ერთი ფრიად საგულისხმიერო ლექსი „გალია“, რომელიც ერთგვარ პოლიტიკურ ტრაქტატს წარმოადგენს, ტრაქტატს, რომელიც ყოველ სასამართლოსა და სამართველოს კარის ბჭეზე უნდა წაეწეროს. აი ესეც:

„ნუ დაატყვევებთ ჩრომანსა, ნუ ჩასვამთ გალიაში:
ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ჰფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია.
ნუ დაატყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,
მის სანავარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.
ნუ დაუტყვევებთ გულს ტურფას: იმისი გული ზღვა არის;
ვინც უყვარს, დეე მას წაჰყვეს, სიკვდილი არის სხვა მისთვის;
ღმერთმა მას მისცა ის გული, მისარსი მისი გულია,
იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!“

და შემდეგ წინასწარმეტყველების ცეცხლით:

„ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა,
თუმც იყოს არა მცნებისა,
დეე მაღლა სთქვას, წარმოსთქვას,—
მასშია ყოფა-ნებისა,
ღვთის ქმნილს გალია არ ჰშვენის,
რად იყოს ტყვეობაშია?—
ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია“. (გვ. 42).

აქ კომენტარიები მეტია, ჩვენ მიერ ამოწერილი ფრაზები ისედაც აშკარად ჰმოწმობენ თუ რა ცეცხლ ნაწრთობ ცნებათ წარმოადგენენ, თუ ადამიანის **აზრი** რატომ უნდა იყოს თავისუფალი, ვითარცა „ყოფა ნებისა“ და სხვა და სხვა.

შემდეგი მისი ცხოვრება, მშრალ ოფიციალურ დოკუმენტების მიხედვით, რომელნიც შეამოწმა ილია ჭავჭავაძემ, ასეთის რიგით მისდევს: კალუგიდან განთავისუფლების ქაღალდი ჩვენმა პოეტმა მიიღო ოთხი წლის შემდეგ, ესე-იგი, 1836 წელს. იგი თავის დედასთან ერთად, თეკლე ბატონიშვილთან, დაუბრუნდება საყვარელ მამულს. აქ ინახულებს თავის ძველს ნაცნობთ, მეგობრებს, როგორც, მაგალითად, დიმიტრი ყიფიანს და მათთან ერთად იკლავს სწავლის უზომო წყურვილს. ახლა მას თითქოს დასვენება ეჭირვებოდა. გულდასმით კითხვა კი მისთვის ერთგვარი დასვენება იყო. აი, რასა სწერს ერთს თავის ძველს მეგობარს:

„მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა
რუსთაველის დიდი ქმნილება,
იმის ფურჩვნილი ლექსებით
სული და გული დავიტკბოთ.
გეტე, შექსპირი, შილლერი
კვლავ ერთად გადავიკითხოთ,
გული საუბარს მივანდოთ
და მოვიგონოთ წარსული,
სამშობლოს ისტორიისა
გადავხსნათ დიდი რვეული“.

აქ, როგორც ჰხედავთ, ვახტანგი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოსდგა ჩვენ წინ. ვიცით, თუ რა აინტერესებს მას, ან როგორ მიდის მისი ყოველ-დღიური ცხოვრება.

1838 წელს იგი მიღებულ იქმნა პრაპორჩიკად ნიჟეგოროდის პოლკში. 1844 წ. შეირთო ილინსკის ასული ეკატერინე, რომლისაგანაც ეყოლა ჩვენი მოღვაწე კნეინა მარიამ ვახტანგის ასული, და ერთიც ვაჟი—ნიკოლოზ ვახტანგის ძე. შემდეგი წელი აღსანიშნავია ვახტანგის სრული დაობლებით: მას გარდაეცვალა სახელოვანი დედა სათნო თეკლე ბატონიშვილი. 1838—1881 წ. მან მრავალ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც ებოძა ღენერალმაიორობა. ერთხელ თერგის მხრის უფროსის თანამდებობასაც ასრულებდა. 1864 წ. დაინიშნა ჯერ გლეხთა საკრებულოს წევრად, შემდეგ მომრიგებელ შუამავლად სხვა და სხვა ადგილას. ამ თანამდებობაზე გადაიცვალა იგი 1890 წ. სექტემბრის 29-ს.

როგორც დავინახეთ, ჩვენმა პოეტმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გენერლის მუნდირ ქვეშ გაატარა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ვახტანგზე შეიძლება ითქვას, რომ ტანისამოსი კი არ აკეთებს ადამიანს, პირიქით ადამიანი ამშვენებს მას. მართლაც ამ გენერლის მუნდირის ქვეშ სცემდა ჭეშმარიტი მამულიშვილის ქართული გული, რომელიც ჰკვნესდა თავის სამშობლოსთან ერთად და ჰქვითინებდა შავ-ფიქრებით გარემოცული:

„. . . . . . გულსა და სულს ცეცხლი მედება,
როს საქართველო დანგრეული მომაგონდება,
რა ფიქრს მომივა თვით ნანგრევნიც იქნება განქრნენ,
და მათ სახელი, მათ ხსენება აღარსად დარჩნენ“.

შთამომავლობით არისტოკრატი, იმავე დროს იგი თავგანწირული დემოკრატიც იყო. აი, სხვათა შორის, რას ავალებს პოეტს, რა რიგი სიფაქიზით იხსენიებს დემოკრატიას თვით ისეთ ცნების გვერდით, როგორიც „სამშობლოა“, ანუ „მამულის სიყვარული“.

„შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,
იმათ ბაღში და იმათ ვენახშია;
დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი;
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი“...

იგი დიდადა ნაღვლობს, რომ პოეტის დიდი ნიჭით არ არის დაჯილდოვებული, რათა

„. . . . წყობილის რითმით
მაშვრალ კაცის თვალს მოსწმინდოს ცრემლი“.

მართლაც, მთელს მის ცხოვრებაში არავის არ ახსოვს, რომ მისგან რამე სწყენოდეთ. იგი უსაზღვრო მოსიყვარულე იყო გლეხობისა, თავის მსახურთა, მუშებისა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ საშინელი ბედი არგუნა, იგი ერთ წუთითაც არ ისვენებდა და ხალხის ბედსა და უბედობაზე ჰფიქრობდა; მათს ცხოვრების გაუმჯობესობაზე და სოციალურ დახსნაზე ოცნებობდა თვით სიკვდილამდე. დაუღალავი შრომა სამშობლოსა და გლეხ-კაცობის საკეთილდღეოდ—აი მისი ხასიათის განსაკუთრებული სახე, რომელიც წითელზოლსავით მისდევს მთელს მის ცხოვრებაში. ქალს დიდად აფასებდა. თავის-თავად ცხადია, ეს ასედაც უნდა მომხდარიყო: მთელი თავისი ბავშვობა და სიყრმე სულ სათნო დედის კალთასთან გაატარა. ამიტომ იყო, რომ მის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავთ ჩვენს ისეთ დამამშვენებელ ბანოვანთან, რომელთა შარავანდედი სითბოსა გვგვრის ყოველ ქართველსა. სიმბოლო ქალთა მშვენებისა და სათნოებისა—ეს საზღაპრო თამარი არის, სიმბოლო სიყვარულისა და რწმენისა—ეს დიდი ნინო, რომლის ჯვარი ვაზისა „დიად საუნჯედ დაგვრჩა“ და რომლის „მადლი „ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის“!

ასეთსავე აღტაცებაში მოდიოდა ქეთევან დედოფლის გახსენებაზე, არ ივიწყებდა სვიმონ ლეონიძის მეუღლეს და სხვათ და სხვათ, რომელთაც ბევრად თუ ცოტად ჩვენს ისტორიაში რაიმე ღვაწლი მიუძღვით. თვალწინ კი, უწინარეს ყოვლისა, მას ედგა ქალთა სათნოების განხორციელება, საიდეალო სახე ნეტარი დედისა—თეკლე ბატონიშვილისა. თვით მაშინაც კი, როდესაც კალუგიდან დაბრუნდა და ცოლი შეირთო, იგი ბავშვსავით ემორჩილებოდა დედას, მის კალთას ერთ წუთითაც არა ჰშორდებოდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული მის სიბრძნეში. იცოდა, რომ მისი უსაზღვროდ მოსიყვარულე დედა უაღრესი სულით და განსპეტაკებული გონებით სახელმწიფო მმართველის ცოდნით იყო აღჭურვილი და ადვილად არ შესცდებოდა.

ერთ დამახასიათებელ თვისებად კიდევ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი მგოსანი მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო, უყვარდა ჩუმად ყოფნა, თავის თავზე ნაკლებად ლაპარაკობდა. სიცოცხლე მის მიმქრალ სევდიან თვალებს მხოლოდ მუსიკის გაგონებაზე ეტყობოდა. ამ დროს იგი საღმრთო ნაპერწკლით იზნებოდა, იდუმალი ნეტარებითა თრთოდა. ბუნება, რამაც მის პოეზიაში დიადი ადგილი დაიჭირა, მისი სატრფიალო საგანი შეიქნა. მას ერთს უზიარებდა თავის ობლობას, მას ერთს შესჩიოდა თავის გულის წუხილს. აი, რატომ არის, რომ მის პოეზიაში ვხედავთ ჩვენ მიერ ცნობილ ერთსა და იმავე სენტიმენტალურ მოტივს; ერთი და იგივე პეიზაჟი ნაკლებ ორიგინალად გვეჩვენება, თუმცა ფერადთა ტონების თამაშში ხშირადა ვხედავთ მხატვრის ცოცხალ ნერვს, ნამდვილ გზნების პოეტისას.

ყველა აქ ჩამოთვლილ ფერადების შემდეგ, ეხლა ვგონებ ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ უნდა გამოხატულიყო ის ნაღვლიანი პორტრეტი, რომელიც ვახტანგ ორბელიანის სახით გვხვდება ჩვენს სამშობლოს პატარა, მაგრამ სასიქადულო პანთეონში; აღარ გაგიკვირდებათ, თუ რატომ არის, რომ სამარადისო სევდას დაუსადგურებია მის მქმუნვარე მეტყველობაში, აღარ იკითხავთ, რად და რატომ, ვინაიდან

„რად გვინდა მისი ამბავი,
რაც არს აღარა,
რაც თვალთ წინა გვაქვს,
გულსაკლავად ისიცა კმარა!“

არც ის გაგიკვირდებათ, თუ რატომ იყო, რომ ხშირად ამ სევდის ზეწარს არღვევდა რაღაცა „იმედის“ სხივი, ეს ის „იმედი“, რომელიც წარმოშვა მისმა დიადმა რწმენამ უაღრესისადმი, რომელმაც ღვთისმშობლის კალთა საფარველად მისცა ჩვენს ერსა. მართალია, სხივი იგი იმა „იმედისა“ მეტად მკრთალია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იგი გამომკრთალია მის დასვლის ჟამს და ამიტომ ანათებს ასე მდარედ ჩრდილ შემოსილი. აჰხადეთ, ფარდა ამ სხივს, ჩამოაშორეთ ეს შავბნელი ზეწარი და თქვენ იხილავთ მოხუც პოეტის გულს, სადაც მრისხანე ქარიშხალს გადაუვლია, ხოლო მის გაუდაბნოებულ ჰორიზონტზე შეჰნიშნავთ დიად „იმედის“ ცისარტყელას, რომლის შვიდფეროვან შარავანდედში წინასწარმეტყველის ცეცხლის ისრებით ჩაქსოვილია:

„გწამდეთ, რომ ღვაწლნი
მამა-პაპათ არ გაჰქრებიან,
გწამდეთ, ეს შთენნი
დიდებულად კვლავ აღსდგებიან...
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული
კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული
კვლავ აყვავდება!“

დ. კასრაძე.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 899.

დაათვალიერონ დღეს, 22 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე.

საბჭომ განიხილა რამდენიმე სხვა წვრილმანი საკითხი. კრება ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე დასრულდა.

ჟურნალისტის დღიური

131.

ღირსეული შეგირდები ღირსეული მასწავლებლებისა.

ერთხელ უკვე გვქონდა საუბარი მკითხველებთან ბრძოლის იმ საშუალების შესახებ, რომელსაც ხმარობენ ხოლმე დასულები თავიანთ იდეიურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის დროს. ამიერიდან უკვდავ ფ. მახარაძის სისტემა, სისტემა პიროვნების დამცირებისა და გაბიაბურებისა, ხელობად გადაუქცევიათ იმის ჯურის ხალხს. პიროვნების დამცირებითა და ტალახში ამოსვრით უნდათ გააკეთონ ის, რასაც იდეიურად ვერ ახერხებენ. სისტემა გამორკვეული და უბრალოა, მარტივი. თუ სადმე შეამჩნევენ ადამიანს, რომელიც ძლიერ ოპოზიციასა ჰქმნის მათს წინააღმდეგ, ნიშანში ამოიღებენ სისტემატიურად, იეზუიტურის დაჟინებით იმდენს სიბინძურეს გადაანთხევენ თავზე, რომ გარეშე მაყურებელს უკვირს და გული ბოღმით ევსება. ამისთანა გაბოროტებულ პირთათვის აღარ არსებობს საზღვარი, და პარტიულ ჟინიანობას მსხვერპლად სწირავენ ეთიკას, კაცურ კაცობას, რომელიც, ვგონებ, დასულებისთვისაც სავალდებულო უნდა იყოს. ეს სისტემა პიროვნების უპატივცემულობისა ფართო წრეებსაც ედება და ხან ერთს გაჰხდის ხოლმე თავის მსხვერპლად და ხან მეორეს. საკმარისია დასულის თანამოაზრე არ იყო, რომ მაშინვე რეაქციის ბურჯად გამოგაცხადონ. მაგრამ ამას კიდევ რა უშავს! დიდი წყალობა იქნება, თუ მარტო ეს ეპიტეტი გაკმარეს. გაივლის ხანი, და რეაქციონერი შავრაზმელად იქცევა, ამოძრავდება ავად-მყოფი ფანტაზია გაბოროტებული ადამიანისა და მალე ჯაშუშად გადაგაქცევს, კაცის მკვლელად, ჯოჯოხეთის მოციქულად. ეს სისტემა, როგორც ეტყობა, იმდენად ძვალსა და რბილში ჰქონიათ გამჯდარი ზოგიერთ ვაჟბატონებს, რომ მემკვიდრეობით გადადის და ახალთაობასაც ითრევს ამ წუმპეში..

წაიკითხეთ „იმერეთსა“ და „სახალხო გაზეთში“ ამ ბოლო დროს დაბეჭდილი წერილები სტუდენტებისა, და თქვენ დარწმუნდებით, რა ავადმყოფ ატმოსფერაში. უხდება მუშაობა ახალგაზრდობას. კიევში ერთი საუკეთესო ქართველი სტუდენტი შავ-რაზმელად გამოაცხადეს მარტო იმიტომ, რომ იგი დასული არ არის და მათ იდეიურ წინააღმდეგობას უწევს. ხარკოვში საუკეთესო ქართველ სტუდენტს, ალ. წერეთელს, ისეთი ცილი დასწამეს, რომლის გამეორებაც ჩვენ ძალ-ღონეს აღემატება. ასევე სდევნიან და ასევე აბიაბროებენ თავიანთ იდეიურ მოწინააღმდეგეებს სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში.

ნაცადი ხერხია, როგორცა ვსთქვით, იმდენი ცილისწამება გადმოანთხიე, რომ მისი სიმძიმის ატანაც კი ვერ მოახერხოს ბრალდებულმა, გასთელე, თუნდაც ამისთვის ელემენტარული სამართლიანობაც კი შეურაცხყოფილ იქმნას. ეს არის დევიზი ღირსეული მასწავლებლების ღირსეული შეგირდებისა. ბრალდებულნიც თავს იმართლებენ, იბექდება გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გოდება შეურაცხყოფილი ადამიანისა, და თავზე ხელაღებული ბრბო ფანატიკოსებისა ხითხითებს და სიამოვნებით ტუჩებს ილოკავს.

შეურაცხყოფილნი თავს იმართლებენ. მაგრამ მე კი აქ სურვილი მებადება ვურჩიო მათ, ძალიან ნუ შეიწუხებენ თავსა, მიიღონ მხედველობაში, რომ ნაცადის საშუალებით უნდათ სახელი გაუტეხონ და ინსინუაციების ისეთს ქსელში გააბან, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. ღვარძლიანმა, ბოროტმა ენამ ქართველი ერის დიდებული მოამაგე, ილია ჭავჭავაძე, არ დაინდო და ვინ არიან ვიღაც სტუდენტები, რომ ისინი დაინდოს!

მაგრამ ეხლანდელ დროში ძნელია ასეთი საშუალებით ლელოს გატანა. ფრიად ნათლადა სჩანს, რომ ერთადერთი მიზანი ამ ინსინუაციებისა არის სახელის გატეხა იმათი, ვინც იდეიურ წინააღმდეგობას უწევს და ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად თანამოაზრეებს იკრებს გარშემო. სწორედ ამიტომაც საუკეთესო ახალ-გაზდებს ამოიღებენ ხოლმე ნიშანში და მოსვენებას არ აძლევენ. რას მიაღწევენ ამნაირის საშუალებით? რაც ფ. მახარაძემ მიიღო, იმას იმისი ღირსეული შეგირდები მიიღებენ. **შინაური.**

ერთი წერილის გამო

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთი დიდი სარგებლობა მოუტანა ქართველ ერს: დანაწილებული საქართველო გაერთდა, შეიკრა და გამტკიცდა მისი ეროვნული შეგნება. ერთ საუკუნის განმავლობაში თითქმის მოისპო საზღვარი იმერ-ამერთა და ქართველ სხვა და სხვა დაქსაქსულ ნაწილთა შორის. უწინ ბედნიერება და უბედურება საქართველოს ერთის კუთხისა, ახარებდა ან აღონებდა მეორე კუთხის მხოლოდ რჩეულსა და შეგნებულს ნაწილს, ეხლა კი ერთიცა და მეორეც საერთოა იმერეთისათვისაც და ამერეთისათვისაც, გურულისათვისაც და მეგრელისათვისაც. თანდათან დაიბადა, გაიზარდა და განმტკიცდა საერთო საეროვნო სული, ზრუნვა, ჭირი და ლხინი.

ასეთი შეგნება ეროვნულ ერთობისა ბოლო ხანებში მოედო ისეთ ელემენტებსაც კი, რომელნიც ჩვენს მამა-პაპებს დაკარგულად მიჩნდათ. უწინ ჩამოშორებული ქართველი კათოლიკენი კვლავ დაგვიახლოვდნენ და მხარში ამოგვიდგნენ; სპარსეთის სამხრეთს გადაკარგულმა ქართველებმა ხმა მოგვცეს და ოსმალეთის ქართველებმაც ყური მოგვიგდეს. ამ საერთო გამოღვიძებაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მაჰმადიან ქართველობას. მან ბევრი რამ შეითვისა ოსმალოსა და ბევრი რამ დაჰკარგა მშობლისა. მისი ენა, ეროვნული შეგნება და სარწმუნოება—ეს სამი დედა-ბოძი ეროვნებისა—შეინძრა და შეირყა სარწმუნოებით, რომელსაც პირველობა ვერ მიეკუთვნება ეროვნების შექმნისა და დაქსაქსვის პროცესში, მაჰმადიანი ქართველები ან საბოლოოდ ან დიდის ხნით ჩამოგვშორდნენ; ენა მათი აირია და ეროვნული შეგნებაც ბურუსით შეიმოსა. დავანებოთ თავი, დავივიწყოთ მათი სარწმუნოება, ვინაიდან იგი—ხალხის სინიდისი—ხელშეუხებელია. ვერ დავივიწყებთ და არც უნდა ოდესმე დავივიწყოთ ბედი ქართველ მაჰმადიანთა ენისა, მათი ეროვნული შეგნებისა, ვინაიდან ერთიცა და მეორეც საძირკველია ჩვენი შეერთებისა, დუღაბია ქართველ ერის საბოლოო გაერთიანებისა და აღდგენისა.

სამწუხაროდ, პროცესი ჩვენის დაახლოვებისა აქამდის სასურველის სისწრაფით ვერ მიდიოდა. მიზეზი ცხადია: ჩვენ, ქრისტიან ქართველებს, არ გვეცალა, რადგან მთელი ჩვენი ძალა და ენერგია ჩვენივე შინაურ საქმეების მოწყობაში იხარჯებოდა. მართალია, ასეთი საქმეები არასოდეს არ გამოგველევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დადგა ისეთი მომენტი, რომელიც ჩვენგან ამ საქმეზე მეტს ზრუნვასა და ფიქრს მოითხოვს.

ჰიდარ-ბეგ აბაშიძე „ბათუმის გაზეთ“-ში ჩივის, თათრებს გვეძახიანო. სამწუხაროა, მაგრამ ამაზე უფრო სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ საუკუნოებით შექმნილ ფსიხიკის გადასაკეთებლად და ჩვენს დასაახლოვებლად აქამდის ჩვენში თითქმის არაფერი კეთდებოდა. მარტოოდენ წიგნების გავრცელება და ერთი სკოლის დაარსება ბევრს ვერაფერს შეჰქმნიდა. აჭარა-შავშეთი ზედ აკრავს დასავლეთ საქართველოს და სწორედ იქაურებს ჰმართებს ამაზე ზრუნვა და რაიმე პრაქტიკულ ზომის მიღება. ხალხთა დაახლოვებისა და გაერთიანებისათვის საჭიროა დიდი დრო და განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიური პირობები, მაგრამ ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კერძო ინიციატივას, კავშირებსა და საზოგადოებებს, რომელნიც ამყარებენ და ანვითარებენ ერთგვარ ურთიერთობას და ხელს უწყობენ დამოყვრებასა და დაახლოვებას.

მეთაურობა ამ საქმისა უნდა იკისროს ბათომის ქართველობამ. იქ, ბათომში, უნდა შეიქმნას საერთო გული და ძარღვი მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებისა. აქ უნდა დაარსდეს ამ იდეის ხელშემწყობი საზოგადოება, რომელმაც მიზნად უნდა დაისახოს დაახლოვება და ურთიერთობის გამტკიცება ჩვენსა და ჩამოშორებულ ჩვენს მოძმეთა შორის. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ საზოგადოებას ექნება განუზომელი ასპარეზი მოქმედებისა და ასეთივე პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა.

ბორჩალოელი.

⁂

სდუმს, არ ხმოვანებს ქნარი ეული:
ობოლს უდროოდ ხმა ჩასწყდომია!
გამოუთქმელი ჰანგი გრძნეული
მის ოქროს სიმებს ზედ დაჰკვდომია!..
მაგრამ თუ თითებს—შვენების სხივებს—
შეახებს იმათ მუზა ნარნარი,
ელვა სიცოცხლის დაურბენს სიმებს,
ხმათ შადრევანად იფეთქებს ქნარი!..

⁂

უცხო ჰანგებით სავსე მაქვს გული,
ხოლო არ ძალუძთ ჟღერა მის სიმებს:
ახ, მარტოობა აზრობს მათ კრული,
დუმილი ლოდად აწევს, ამძიებს...
მაგრამ თუ ნაზი ფრთა შენი ტრფობის
შემეხო ზეჩავს, სევდითა სნეულს,
სულის წარმტაცი აკორდი გრძნობის
მოსწყდება ამ გულს, ტკბილ ქნარად ქცეულს!..

კ. მაყაშვილი.

პატარა ფელეტონი

ა გ ა რ ა კ ი

ოთახში სევდის კუბო იდვა. საშინელ მწუხარებას შეეპყრო ცოლი თიკო და ქმარი მისი ნიკო.

თიკომ მეორე ხელსახოცი გადადვა გვერდზე ცრემლებისაგან დასველებული. ნიკო კი ჯოხს დაჰბჯენოდა და მწარედ ოხრავდა.

— ეხლა, როდესაც ყოველი პატიოსანი კაცი იმაზე ფიქრობს, რომ სააგარაკოთ გაგზავნოს ცოლიიი...— ვეღარ დაათავა სიტყვა თიკომ და ხმა ყელში ჩაუწყდა.

— ცოლიიი. .—შესაფერი სიტყვა უნდოდა დაემატებინა ნიკოს, მაგრამ თიკოს მრისხანე თვალებმა შეაჩერეს.

— უნდა მოახერხო! რადაც უნდა დაგიჯდეს, -უნდა მოახერხო!—შეუტია ცრემლების წმენდით თიკომ და ისეთი ამოიოხრა, რომ ჯვარის წერის კელაპტარსაც კი ჩააქრობდა.

„აბასთუმანი, ბორჯომი, ბახმარო... კისლოვოდსკი... სურამი... ჟელეზნოვოდსკი .. მანგლისი... პეტიგორსკი... ყირიმი“... სთვლიდა ფურჩულით ნიკო აგარაკებს.

— სახელები შენზე უკეთ ვიცი, შენ მაგას კი არ გავალებენ, შენ გავალებენ საგარაკოდ ფულის შოვნას!

ნიკო შეკრთა. მას სახრჩობელამ გაუელვა თვალ-წინ და ხელებ შეკრულ დამნაშავესავით გასწია ქალაქის ქუჩისაკენ უნაგარიშოთ.

„იშოვე... იშოვე... იშოვე“...—დუდუნებდა ნიკო და თან იბუზებოდა პატარავდებოდა, თითქოს ძველ მოვალეს ემალებაო.

„ოოხ!“—ამოიკვნესა მან და მრავალ-ტანჯულ სულის შესასვენებლად დაეშვა ბაღის სკამზე, რომ მოეფიქრა როგორ დაეღწია თავი ამ საშინელებიდამ.

„კუკიის ხიდი... ავლაბრის მორევი... ნიშადურის სპირტი... ესენცია... ავტომობილი... თოკი... ციანის კალი... ბრაუნინგი... სამრეკლო... კონკა“... აირივა ერთმანეთში და ნიკოს თვალწინ ათამაშდა სიკვდილის აჩრდილი.

„რომელი ამოვირჩიო, ჰა?“—ეკითხებოდა ის ბაღის მიმჰქნარ ყვავილს, რომელიც სინანულით აქნევდა თავს აქეთ-იქით.

„ჩემის აზრით, თავის მოკვლა ფრიად მავნებელი უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის“—ფიქრობდა ნიკო და ვერ გადაეწყვიტა—მიეყიდნა თუ არა უფულოთ ეშმაკისთვის ქრისტიანი სული.

ერთის სიტყვით—გზა მოჭრილი ჰქონდა იმ საიქიოსკენაც და სახლისაკენაც.

ერთად ერთ ჯოხს-ღა ესმოდა მიყრდნობილი შუბლის ფეთქვა, როდესაც მეგაზეთემ გაზეთი მიაწოდა.

ნიკოს გაუხარდა, ესიამოვნა, რომ ყოფილა კიდევ ადამიანი ამ ქვეყნათ, რომელმაც ის შეამჩნია, დაინახა. „გმადლობთ“ გადაუხადა გულმხურვალე მადლობა და გაუწოდა შაურიანი მეგაზეთეს.

„მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, თვისთა გარდაცვალებას საყვარელის...“—ჩააყოლა მან თვალი განცხადებას.

„დღეს, 19 მაისს გადახდილ იქნება ორმოცი დღის გარდაცვალების წირვა და პანაშვიდი ჩემის დაუვიწყარი მეუღლის შუშანიკასი“...—ძლივს დაათავა ნიკომ და თვალთაგან მდუღარებამ იფეთქა.

„ნაუუ, ნაუუ...“—გაიზრიალა საგგლოვიარო ზარმა და მისწვდა სამგლოვიაროდვე ნიკოს გულში, როგორც მწუხარე ჰანგში გაწყვეტილი სიმი.

მას ეხლა-კი ნათლად წარმოუდგა თვალწინ — როგორ გადმოვარდება სამრეკლოდან, როგორ აუწყებენ „მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა...“

— უკაცრაოდ კი და, მგონი, დიდი რამ უბედურება დაგტეხიათ თავს?— შეეკითხა ნიკოს მოკრძალებით ვიღაც უცნობი და თავაზიანად დაეშვა მის გვერდით სკამზე.

— ჰო, დიახ, საშინელი სურდო მჭირს...—მიუგო ნიკომ და მიპრანჭმოპრანჭა სახე, რომ ცხვირს დაეცემინებინა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე-კი მგონია რომ...

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ მართალსა ბრძანებთ. საშინელი უბედურება დამატყდა თავს—მე გარდამეცვალა უძვირფასესი ადამიანი. . აღარ დაათავებინა უცნობმა ნიკომ სიტყვა და მიუთითა გაზეთში განცხადებაზე.

„დღეს, 19 მაისს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ორმოცი დღის გარდაცვალების თავზე ჩემის ძვირფასის მეუღლის შუშანიკასი...“

გადაჰკრა უცნობმა განცხადებას თვალი და მახათნაკრავივით წამოიჭრა სკამიდან.

— განა იცნობდით თქვენ ამ ქალს? — შეეკითხა ის მოუთმენლად ნიკოს.

— ჩემს მეუღლეს? ჩემს ძვირფასს შუშანიკას... განსვენებული...—ჩაიქვითინა ნიკომ და ეხლა კი თავისუფლება მისცა ცრემლებს, რადგან იპოვა უცნობის წინ მწუხარების მიზეზი.

— თქვენ უსინდისოთ სტყუით! ეს გარდაცვალებული ქალი ჩემი მეუღლეა და წირვაც მე გადავიხადე დღეს!—შეუყვირა ბრაზ-მორეულმა უცნობმა და მიახალა ნიკოს გაზეთი გულში.

— ჰო და, მართლაც, ვის ცოლსა ვსტიროდი, ჰა? ჩემი ცოლის სიკვდილს ვერ ვეღირსე და სხვისასა ვსტირი...—ბუტბუტებდა ნიკო და ფეხაკრებით ჰშორდებოდა სახიფათო ადგილს.

იმან ეხლა კი უფრო მიყრუებული კუთხე ამოირჩია ბაღში და ისე დაეშვა სკამზე, თითქოს სამუდამოდ აქ აპირებს დარჩომასო. მაგრამ დარდებს მაინც გაქარვება ეჭირვებოდა და იმანაც ისევ გაზეთი გადაშალა. განცხადებებს სიფრთხილით ააშორა თვალი და მოწინავე წერილს დაუწყო კითხვა:

ახალი აგარაკი

„იმ დროს, როდესაც აუარებელ ფულს ჰხარჯავენ საგარაკოდ, როდესაც მრავალი ოჯახი ვარდება ამისთვის ვალში და ვახშში, ჩვენ თვალებსა ვხუჭავთ და ვერა ვხედავთ ჩვენს თვალწინ ედემის მშვენიერებას. აგარაკი, რომელიც ამართულია მტკვრის მაღლა 500 მეტრის სიმაღლეზე, რომელიც დასცქერის მოღუდუნე მდინარეს და მთელს სომხეთს ბათუმიდან თვით არაქსის საზღვრამდე, აგარაკი დაფენილი ფიჭვ-ნაძვნარით, ახმაურებული და ამღერებული ფრინველთა ჟივილ-ხივილით, მოწყობილი ყოველგვარ საჭირო დაწესებულებით, როგორც მაგ. სასაფლაო და სხვა..., რომელიც სულ იაფად, და თითქმის უფასოდ, მიეცემათ ღარიბ ხალხს, აგარაკი, რომელიც... რომელიც...“—ვეღარ დაათავა ნიკომ და ჩაიკრა გაზეთი გულში, როგორც ადამიანი, რომელმაც ის სახრჩობელიდან ჩამოხსნა.

— ვიშოვე! ვიშოვე!—შეიღრიალა სიხარულით სახლში მან და გამარჯვებულმა დოინჯით რამდენიმე ბოლთა დაჰკრა ოთახში.

— რამდენი იშოვე?—შეეკითხა გახარებული თიკო და მისი კოცნა ნატარიუსის ბეჭედივით დაესვა ნიკოს შუბლს.

— ერთი, ერთი, მაგრამ ათასი თუმანიც, რომ მეშოვნა მაინც მას ვერ ვიშოვიდი...—მიუგო ნიკომ და ხელი დაუტყაპუნა გაზეთს.—„იმ დროს, როდესაც აუარებელ ფულს ჰხარჯავენ საგარაკოდ, როდესაც მრავალი ოჯახი ვარდება ვალში და ვახშში... —ჩაუბუღბუღა ნიკომ თიკოს,—ჩვენ თვალებს ვხუჭავთ და ვერა ვხედავთ ჩვენ თვალწინ ამართულ ედემს.— დატკეპნა უკანასკნელი სიტყვა ნიკომ და ხელი გაიშვირა ცისკენ, სადაც მეორე ედემი ეგულებოდა, რომელიც თითქმის მუქთათ დაეთმობათ ყველას...—განაგრძო ნიკომ.

— ადამიანო, არ იტყვი—სად, რომელ ადგილას, რა ჰქვიან მაგ მშვენიერ აგარაკს?—გააწყვეტინა მოუთმენლად ნიკომ.

— მე არ ჩავსულვარ იქნობამდე, აი, აგერ შენ წაიკითხე!—მიუგო ნიკომ და გადასცა თვის მეუღლეს „ტფილისის ლისტოკი“. თიკომ ბოლოდან შეაყოლა წერილს თვალი.

აგარაკი მართლაც სულ ახლოს აღმოჩნდა, ე. ი. იქ, სადაც ხატისოვი იწვევს დღესაც ტფილისის მოქალაქეთ და პოლიტეხნიკუმს, როგორც ტკბილი მქადაგებელი ქრისტიანის სულს სამოთხისკენ.

ნავთლუღის გაგონებამ და თიკოს მრისხანე თვალებმა ნიკო ცარიელ ტომარასავით ჩაკეცა სავარძელში. ის ამ დროს ჰგავნდა ადამიანს, რომელსაც ნატვრისთვალი გაუვარდა ხელიდან.

გულკეთილი მეუღლე მაინც მალიმალ უცვლიდა სავარძელში მოსვენებულ ნიკოს სველ ტილოს, ხოლო ნიკო კი ისე ჰკუმშავდა თითებს, თითქოს მას ხელში ეჭირა ამ დროს, იმ მასხარას კისერი, რომელიც ასე შეამკობდა „ხატისოვის აგარაკს“.

ირა.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

თუ ჩვენი ვინაობის დაცვის და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის საჭიროა შექმნა და გამაგრება განსაზღვრულ სოციალურ ორგანოებისა მთელი ჩვენი ცხოვრების მოწესრიგებისათვის, უნდა მარადის გვახსოვდეს, რომ ეროვნულ კულტურის თანდათანი განვითარება და ამისათვის საჭირო საფეხურების გავლა, ჩვენს ეროვნულ სხეულს გამაგრებს, ჩაჰბერავს მას ახალს სულს, ვინაიდან სიძლიერე და ხანგრძლივობა ყოველი სოციალური ორგანიზმისა დამოკიდებულია ამ ორგანიზმის ორგანოების სისაღეზე და მათს შეთანხმებულ მოქმედებაზე ერთი მიზნის მიხედვით.

◆

ჩვენს სოციალურ პოლიტიკურ მდგომარეობას რომ დავაკვირდეთ, აშკარად დავინახავთ განუვითარებლობას ეროვნულ სხეულისა და მის ორგანოებისას. ჩვენს წინ დიადი პრაქტიკული მოვალეობაა—განკურნება ამ სხეულისა და მოწყობა და მომართვა განვითარებისთვის საჭირო ორგანოებისა.

◆

ადამიანი პირუტყვისაგან იმითი განირჩევა, რომ, გარემოების აწონდაწონვის უნართან ერთად, არჩევის ნიჭიც აქვს განვითარებული. დაამწყვდიეთ მგელი გალიაში, დატრიალდება ნადირი, მიეხლება რკინის მოაჯირებს, გაკანდება და მოუსვენრად იტრიალებს გარშემო, სანამ მოიღლება და ღონე მიხდილი იქვე წაწვება. დაამწყვდიეთ ადამიანი ციხეში. გარეგნულად იგი სრულიად დამშვიდებულია, კედლებს არ ეხეთქება, თავს არ იმტვრევს, თითქოს დაწყნარებულია, დამორჩილებული. გულში კი, გულში სულ იმის ფიქრშია, როგორ მოახერხოს და უვნებლად დააღწიოს თავი ტყვეობას და თუ ეგეც შეუძლებელია მისთვის —გულჩაკეტილი, შორიდან ეთაყვანება თავისუფლებას, შორიდან აძლევს სალამს მეგობრებს, შორიდან ეტრფიალება ოცნებას და ციხის ჯურღმულში შეჭრილ მზის შუქს უცინის და ელერსება!

◆

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ჩვენს მწერლობაში ისევ ძველი არგუმენტებია ხმარებაში, ნასესხები და უკვე დაძველებული ფორმულები და სიტყვები, შინაარს მოკლებული სიტყვებია პატივში. იგივე სქემატიზმი, იგივე წისქვილებთან ბრძოლა, იგივე ფუქსავატი დევ-გმირობა. და არსადა სჩანს იმისი ნიშნები, რომ განვლილმა წლებმა ჩვენი საზოგადოების აღნიშნულ ნაწილს რაიმე ასწავლეს. რაიმე შესძინეს, გაუღვიძეს მას აზრი, აღუფრთოვანეს შემოქმედებითი ნიჭი. არა, აზრი არსადა სჩანს, გაგება და შეგნება ცხოვრებისა დახშულია, აღფრთოვანებას ხელოვნურად გაბერილ ტიკის გამოსახულება აქვს და შემოქმედება უიმედოდ მკვდარია; ორიგინალობა იმაში-ღა ისახება, ვინ ვის გადააჭარბებს ჩრდილოეთიდან მოზიდულ კატეგორიების, მეტაფორების, ტერმინების თუ სალანძღავ სიტყვების შეთვისებასა და გავრცელებაში, დიაღ, ლანძღვაშიაც არა სჩანს ორიგინალობა... საკუთარი აზრი არ მუშაობს, საკუთარი სიტყვა მუცელშია ჩაფლული. აღარ არის ილაჯი ამ წამბაძველობისაგან, ამ უგუნურ წამბაძველობისაგან, რომელიც, საუბედუროდ, მარტოოდენ ჩვენი საზოგადოების უკულტურობის მაჩვენებელია.

◆

მწერლობა გამასხარავდა. მაშინაც კი, როდესაც იგი სერიოზულ კილოს იღებს, მასხარაობის მეტი არა გამოდის-რა. „გმირების“ იერი ცრუ კლასიციზმის თეატრის გმირების იერს მიაგავს. დაწებებული ულვაშები, ბუტაფორები, ქარქაში, ხის სატევარი, კილოც ამაღლებულია, არა ბუნებრივი, მიხვრა-მოხვრაც ვითომდა ტრაგიკულია... დავრდომილთათვის იღვწიან! მათი თავგანწირულება მათს არარაობას უდრის; მათს აღფრთოვანებას არყის სუნი უდის და ყოველ ნაბიჯზე ეტყობათ, რომ აქ უსუსურ უნიჭობასთან გაქვთ საქმე, რომ ეს უნიჭობა და სულიერი ფუქსავატობა გრიმით, ბუტაფორებით და სათამაშო იარაღის ჩხარუნით არის დაფარული. ამ აქტიორების ცქერის შემდეგ ადამიანი ისე უგემურად ხდება, თითქოს ერთი გირვანქა საპონი შეუჭამიაო. ამ ხასიათის „ბუფონადა“ შემოვიდა ჩვენს მწერლობაშიაც.

◆

„პოლემისტობა“ ქართველი მწერლის ხვედრია. მას სხვა გზა არა აქვს. ეს ზღუდეა, საიდანაც თითქოს გასავალიც კია დახშული. ამ ზღუდეში თვით ჩვენი ცხოვრებაა ჩაჭედილი.

◆

ქართულ პოლემისტობას ასაზრდოვებს სიზოგადოებრივი დაქსაქსულობა. ჩვენი საზოგადოება ისე ეკონომიურად არ არის დაქსაქსული, როგორც ზნეობრივად და იდეიურად.

მოწერილი ამბები

გორი. 9 მაისს აკურთხეს და გახსნეს ფრინველთა მესამე მორიგი გამოფენა. კურთხევის შემდეგ ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ვ. ა. ენგელმანმა განუმარტა დამსწრე პირთ წარმოება და შედეგი ამ გამოფენისა, სხვათა შორის შეგვატყობინა, რომ ამ წლიდან განზრახულია ყოველ გამოფენის დროს, უსასყიდლოდ დაურიგდეს სოფლის გლეხებს კვერცხები; წრეულს 300 ცალი და შემდეგ თან-და-თანობით მეტი, რათა გავრცელდეს ყველგან საუცხოო ჯიშის ფრინველი. ამის პასუხად ქალაქის თავმა უთხრა შესაფერი სიტყვა, მადლობა გადუხადა როგორც საიმ. რუს. სამეურ. ფრ. საზოგადოებას ყურადღებისათვის, აგრეთვე კერძოდ გორის ფრ. განყოფილების ინიციატორს ბ. ენგელმანს, რომელიც ენერგიულად მუშაობს. გამოფენამ გასტანა 14 მაისამდე.

ექსპერტთა კომისიამ ჯილდო მიუსაჯა შემდეგ პირთ: **დიდი ოქროს მედ.** ს. რ. ს. ფ. საზოგადოებისაგან ნ. ა. ბუდიანსკის—ბატებისათვის (ხოლმოგორიისა და ტულუზისა) და წიწილებისათვის (მინორკა შავი). ენგელმანს ვ. ა. ქათმებისათვის (პლიმუტრუკ, ორპინგტონ შავი) და კურდღლებისათვის (ანგორიისა), კოლოტოვისას ე. კ.—კურდღლებისათვის (ფლანდრი).

პატარა ოქროს მედ. ს. რ. ს. ფ. ს. ერისთავს ელენეს თ-დ რევაზის ასულს ინდოურებისათვის (ამერიკული). მ. ე. ოკონჩიცს, ადრეული წიწილებისთვის (ფაბეროდ).

დიდი ვერცხლის მედალი ს. რ. ს. ფ. ს. დ. რ. მაჭავარიანს, ქათმებში (პლიმუტრუკ). კ. ნ. დუნინს ხელოვნურ ფრთების ნამუშავარში.

პატარა ვერცხლის მედ. ახალბედაშვილს, ქათმებში (პლიმუტრუკ), ნ. ა. მდივანს, ქათმებში (პლიმუტრუკ და კოხინხინი თეთრი), თ-დ მ. რ. ერისთავს, ქათმებში (ორპინგტონ შავი და კოხინხინი). იხვებში (ელსბიური). ერისთავი ელ. თ-დ რევ. ასული.კურდღლებში. გორის საოსტატო სემინარიას, ქათმებში (პლიმუტრუკ).

ბრინჯაოს მედალი ს. რ. ს. ფ. ს. დობროვოლსკის, ქათმებში (მინორკა).

ბრინჯაოს მედ. კ. ს.-მ. ს. სოფიო სეხნიაშვილს, წიწილებში (პლიმუტრუკ), ჯაოშვილი, ქათმებში (პლიმუტრუკ), ი. დ. ქიტიაშვილს, ქათმებში (პლიმუტრუკ), ნ. ი. სახაროვს, გარეულ ქათმებში (ცესარკა), რიშავს, ქათმებში (ორპინგტონ შავი). **მარიამ ხანუმ.**

ხვანჭკარის საზოგადოება (ქვემორაჭა). მდ. რიონის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფლები ხვანჭკარა, ტოლა პირველი, ტოლა მეორე და ჩორჯო—შეადგენენ ამ საზოგადოებას, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ითვლება 500 კომლამდე. ქუთაისიდან ეს საზოგადოება იმყოფება 65

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსზე ოსეთის სამხედრო გზატკეცილით. ხვანჭკარაში ბუნება მდიდარია, რასაც სხვათა შორის ხელს უწყობს ნაყოფიერი მოსავლიანი ჭალები და შესანიშნავი ზვრები, რომლებიც იძლევა საუკეთესო ღვინოს; ვის არ გაუგონია თავ. ყიფიანების „ალექსანდრეულის" ღვინო. კულტურული მხრით ეს საზოგადოება ჩამოქვევითებულია: აქ არსებობს ერთად-ერთი სამინისტრო ერთ კლასიანი სასწავლებელი, რომელიც დაუარსებიათ 1875 წლებში და მას შემდეგ ვერ მოახერხეს იმისი ორკლასიანად გადაკეთება, რადგანაც გავლენიანი ინიციატორი არავინ ჩაერია ამ საქმეში; მარტო მასწავლებელი კი რას გახდება! ამ საზოგადოებაში სცხოვრობს ყველასგან პატივცემული თავადი დიმიტრი ყიფიანი, შეძლებული და განათლებული ადამიანი, რომელსაც მთელი საზოგადოება და ქვემო-რაჭა პატივისცემით ეპყრობა, აი, ეს პატივცემული პირი რომ მიიღებდეს თავის თავზე თაოსნობას სკოლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ, დარწმუნებული ვარ საქმე გაკეთდება, ეს საზოგადოებაც ცოტას წინ წაიწევს კულტურულად და აღარ იქნება ჩამორჩენილი უკან მეზობელ საზოგადოებებზე.

ლადო ბზვანელი.

ბალკანეთი და სახელმწიფოები

მოკავშირეთა უთანხმოება.

სერბიის სკუპშჩინაში პრემიერ-მინისტრმა პაშიჩმა საგარეო პოლიტიკაზე გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და დაწვრილებით შეეხო ბალკანეთის მოკავშირეთა დამოკიდებულებას. მისი მთავარი აზრი ის იყო, რომ ბულგარეთ-სერბიის შორის არსებული ხელშეკრულობა უნდა შეიცვალოსო. ბულგარეთის პოლიტიკოსები მდგომარეობის გამაუარესებლად სთვლიან პაშიჩის სიტყვას. ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს: ბულგარეთი მიიღებს ამ გამოწვევას და არც დიდი ხანი გაივლის კრიზისის გამწვავებამდეო.

საშიში ნიშნები.

სერბია-ბულგარეთის უთანხმოებამ დიდი შიშიანობა გამოიწვია მოსაზღვრე ადგილების მცხოვრებთა შორის. როგორც ვენიდან იუწყებიან, ბულგარელები უკვე გაიხიზნენ ქ. ცარიბროდიდან და სხვა ადგილებიდანო. ეს ცნობა მომასწავებელია იმისა, რომ ბულგარეთს გადაწყვეტილი აქვს გადაჭრით მოქმედება. ამ მოსაზრებით მთავარმა შტაბმა ბრძანება დაუგზავნა დასასვენებლად წასულ აფიცრებს, დაუყოვნებლად თქვენ-თქვენს რაზმებს დაუბრუნდითო. ბელგრად-პიროტისა და ბელგრად-სკოპლეს რკინის გზებზე მგზავრთა მოძრაობა შეჩერებულია ჯარის გადაყვანის მიზეზით.

რუსეთის დიპლომატიის აზრი.

პაშიჩის სიტყვის შესახებ რუსეთის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ: პაშიჩმა ბევრი რამ ისეთი გამოაქვეყნა, რაც აქამდე უცნობი და დაფარული იყო. იგი მწვავედ აყენებს ხელშეკრულობის გადასინჯვის საკითხს და ახალი საბუთებით აძლიერებს თავის მოთხოვნილებას. რუსეთი ყოველნაირ ღონისძიებას მიიღებს, რომ სერბიის გადაჭრით მოქმედებამ საქმე არ წაახდინოს და ეცდება, რათა სერბია-ბულგარეთის უთანხმოება მორიგებით გათავდეს.

ავსტრიელების დასკვნა.

ავსტრიის პოლიტიკურ წრეებში პაშიჩის სიტყვიდან ისეთი დასკვნა გამოჰყავთ, რომ სერბიის პოლიტიკას დღემდე ავსტრიის მოძულეობა უდევს სარჩულად, ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ბალკანეთის კავშირი მხოლოდ ოსმალეთის საწინააღმდეგოდ არ იყო დაარსებული; იგი პირველ ყოვლისა, როგორც პაშიჩის სიტყვიდან გამოირკვა, ავსტრიის საზიანოდ არის შექმნილიო. გაზ. „ნეიე ფრ. პრესე" სწერს: თუმცა პაშიჩი ლაპარაკობდა ავსტრიის შესახებ, მაგრამ ერთი სიტყვითაც კი არ აღუნიშნავს სერბიის კეთილგანწყობილების შესაძლო განზრახვა მეზობლებისადმი, რომელიც ამჟამად ასე სანატრელია."

გერმანიის აზრი.

პაშიჩის სიტყვას გერმანიაში გულცივად შეხვდნენ. გაზეთები აღნიშნავენ მისი სიტყვის თავხედურ კილოს ავსტრიისადმი, აშკარა გამოწვევას ბულგარეთისადმი და რუსეთის რჩევის არად ჩაგდებას. ზოგიერთი გაზეთი ურჩევს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საზონოვს, რათა მან მიჰბაძოს ედუარდ გრეისა და ცივი წყალი გადაასხას გახურებულ სერბიას, წინააღმდეგ შემთხვევაში სერბია-ბულგარეთის ომი აუცილებელიაო.

იმედის ხმა.

როგორც ვენიდან იტყობინებიან, სამთა კავშირის შეთანხმების სახელმწიფოთა ერთ-ერთს დიპლომატს უთქვამს: პაშიჩის სიტყვას ახალი არა შეუტანია რა მდგომარეობაში. სერბიის აზრი ადრევე იყო ცნობილი, ამიტომ არა მგონია, რომ ამ სიტყვამ უარესი გამწვავება დაჰბადოს; ხოლო ბულგარეთ-სერბიის საომარი სამზადისი, რომელიც მართლაც სწარმოებს, უბრალო ჩხარუნია იარაღისა და მეტი არაფერი.

საბერძნეთი და ბულგარეთი.

მტკიცდება ის ცნობა, რომლითაც საბერძნეთი და ბულგარეთი შეთანხმდნენ ყოველ წინასწარ პირობათა გარეშე მოლაპარაკების გამართვისა. ჰორიზონტი თითქოს გადაიწმინდა. ეტყობა, რომ განხეთქილების უახლოესი მიზეზი თითქოს მოისპო. იმედი აქვთ აგრეთვე, რომ დიდი სახელმწიფოები ყოველ ღონისძიებას იხმარენ ომის თავიდან ასაცილებლად.

მუშათა ცხოვრება

◆ საფრანგეთის მთავრობას განუზრახავს სასტიკი ზომები მიიღოს შრომის საყოველთაო კონფედერაციის (კავშირის) წინააღმდეგ. სამინისტროს ზოგიერთი წევრები ჰფიქრობენ მთლად დახურონ ეს სინდიკალური კავშირი. სოციალისტების პარტია ნაკლებად თანაუგრძნობს სინდიკალისტებს, მაგრამ აღშფოთებულია მთავრობის რეაქციონური განზრახვით. ჟორესის „ჰუმანიტეში" რამდენიმე მკაცრი წერილია დაბეჭდილი მთავრობის ამგვარ ძალმომრეობის წინააღმდეგ.

◆ ქ. ლოძში კრუშეს და ენდერის ფაბრიკაში ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცა 1800 მუშა. იქვე პაბიანიცების ფეიქრების გაფიცვა გათავდა, მუშების გამარჯვებით.

◆ პეტერბურგში დამცველი განყოფილების განკარგულებით გაჩხრიკეს ნოქრების ჟურნალის რედაქცია.

◆ გერმანიის ზოგიერთმა სოციალდემოკრატმა მოითხოვა, რომ პარტიამ გაბედულად გაილაშქროს მთავრობის ახალ სამხედრო კანონპროექტების წინააღმდეგ და საყოველთაო გაფიცვაც მოახდინოს. ამათ საპასუხოდ პარტიული ორგანო „ფერგორცი" აცხადებს, რომ ასეთი მოქმედება ეხლა უადგილოა და ნიადაგიც არ ექნებაო.

თეატრი და ხელოვნება

ოსური წარმოდგენა. ხუთშაბათს, 23 მაისს, ოსთა წრე ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ამ სეზონში უკანასკნელად გამართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ ორ პიესას: **აზიანის** ორ მოქმედებიან კომედიას „**გაცრუებული იმედი**" და **ცაგარლის** ერთ მოქმედებიან კომედიას. ორივე ტეფეევის ნათარგმნია. ადგილების ფასი მანეთიდან აბაზამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს, 25 მაისს, ქართულ თეატრის საზაფხულო განყოფილებაში „ახალი კლუბის" საბჭო გამართავს პირველს სიმფონიურ სადამოს ვ. ი. ზელიონის მეთაურობით.

სხვა და სხვა ამბავი

გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე ჯონ ლებოკი. განსვენებული იყო იშვიათი მხნე ადამიანი და შრომის მოყვარე. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო თხზულება, უმთავრესად სოციოლოგიური შინაარსისა. ყველა განათლებულ ერის ენაზეა გადათარგმნილი მისი წიგნები პირველყოფილი კულტურის შესახებ: „ისტორიის წინა დროება", „ცივილიზაციის (მოქალაქეობის) დასაწყისი" და სხ. ლებოკი მხურვალე მონაწილეობას იღებდა თავის სამშობლოს ინგლისის სახელმწიფო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ როგორც საზოგადოებათა პალატის წევრი და მერე როგორც ლორდი 1900 წლიდან ლორდების პალატაში. იგი გარდაიცვალა 80 წლისა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

20 მაისი.

უცხოეთი

სტამბოლი. რადგან ჩათალჯასთან მდგომი ჯარი სტამბოლისკენ წამოსვლას აპირებდა, ღამით ჩათალჯის გზისკენ ჯარი გაიგზავნა.

ქიამილ-ფაშა რუსეთის გემზე სმირნისკენ წავიდა, ალბად კუნძულ კიპრისკენ გამგზავრებას აპირებს.

სომხეთის პატრიარქმა დიდ ვეზირს ახალი ტრაქტირ—პროტესტი წარუდგინა სომხების აუტანელ მდგომარეობის შესახებ ანატოლიასა და კილიკიაში, რომელთაც ხოცვა-ჟლეტა არ ელევათ. პატრიარქი უთითებს ვეზირს, რომ სომხის ერი აუწერელ წუხილსა და სასოწარკვეთილებაშია. პატრიარქი მოუწოდებს ოსმალეთის ხალხისა და მთავრობის სინიდისსა და პასუხის-გებას და განათლებულ ქვეყნის შებრალებას.

ბასსორა. მცხოვრებლებმა მიტინგზე პროტესტი განაცხადეს ახალ კანონის წინააღმდეგ, აზიის ოსმალეთის ვილაიეთების გამგებლობის შესახებ, და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია მოითხოვეს.

მადრიდი. მეფემ რომანენოსს ახალ კაბინეთის შედგენა მიანდო. ახალ სამინისტროში სულ ძველი მინისტრები შევლენ.

ლონდონი. დანევი 19 მაისს საჩქაროდ სოფიაში წავიდა, მთავრობამ მოულოდნელად დაიბარა.

პეტერბურგი. სოფიიდან და ბელგრადიდან ოფიციალურად იტყობინებიან, გეშოვი პაშიჩს შეჰხვდა ცარიბროდშიო.

ლონდონი. ინდოეთიდან იტყობინებიან, სამხრეთ რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირმა გადასწყვიტა გამოაცხადოს საერთო გაფიცვა, რომელიც გუშინ უნდა დაწყებულიყო.

რუსეთი.

პეტერბურგი. გაიხსნა სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება. თავმჯდომარედ კრენგელსია არჩეული. კრების მუშაობა 8 დღეს გასტანს.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: 1) იოსებ ივანეს ძემ პაიჭაძემ ა) ოცი თეთრი ფული (მათ შორის ჩინური და იაპონური, ბ) ვერცხლის საყურე და გ) თორმეტი შავი ფული, 2) სოფიო ათანასეს ასულმა ჭავჭავაძისამ სამი შავი და ერთი თეთრი ფული, 3) მღვდ. ივანე ახმეტელოშვილმა (კარდანახიდან) მიწაში ნაპოვნი (კარდანახში) ორყურიანი ქილა, 4) მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანისამ ა) თმის გასაყოფი ქინძისთავი და ბ) გველაშაპის თავი (პატარა), აბრეშუმის ძაფით და სირმით ნაქსოვი, 5) რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ ა) თვრამეტი თეთრი ფული (მათ შორის ორი შაჰ-აბაზისა და ხუთი ქართული), ერთი ოქრო (ბიზანტიური) და ათი შავი ფული, ბ) ქისა აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი, გ) ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში ნაპოვნი ხუთი ჩიბუხი თიხისა, დ) გულის ქინძისთავი და ე) ბრინჯაოს ტოლჩა და ავანდასტა, 6) ნინო დავითის ასულმა გოგოლაძემ (თელავიდან), ა) ხელთნაწერი „ამირან-დარეჯანიანი" და ბ) ხუთი შავი და სამი თეთრი (ერთი სასანიანთ დინასტიისა) ფული, 7) მხატვარმა ქალმა ფანცულაიამ ორი შავი ფული, 8) თ. დ. ლეონიძემ ა) ბეჭედი თითბრისა (ნაპოვნია კასხის ყორეში, ბ) სოლომონ ლეონიძის ხლმის ჩამოსაკიდებელი ბალთა (ზარნიშიანი), გ) სვიმონ გველესიანთან სოლომონ მე-II მიერ მიწერილი წერილის ასლი, დ) სახლთუხუცესთან, ზურაბ წერეთელთან, სოლომონ ლეონიძის მიერ გაგზავნილ წერილის ასლი და ე) სოლომონ ლეონიძის მიერ ალექსანდრე პირველისთვის მირთმეული ოდის თარგმანი, 9) დარია ივანეს ასულმა და ტასო ივანეს ასულმა გედევანიშვილებმა ქისა მძივებისა.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მე კარგა ხანია არა ვთანამშრომლობ რუსულ გაზეთ „ზაკავკაზიეში" არც ჩემის საკუთარის სახელით, არც ფსევდონიმებით.

გ. ჟორდანია.

ბ-ნო რედაქტორო! ძვირფას, საყვარელ და ჩვენი გულის მესაიდუმლე უდროოდ დაკარგულ **არჩილ ჯორჯაძისათვის** განძრახულ ძეგლის სასარგებლოდ, სურახანაში მყოფ მუშათა ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ საღამოს გამართვა. ამ ჩვენს სურვილს დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ადგილობრივ წ.-კ. გ. საზოგადოებასთან არსებული დრამატიული სექცია და მათის დახმარებით გავმართეთ კიდევაც 4 მაისს ქართული წარმოდგენა. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, თითქმის მთელ სურახანელ მუშებს აქ მოეყარათ თავი და შემოსავალიც მეტად თვალსაჩინო იყო. სექციის მიერ დადგმულ იქმნა ნეტარხსენებულ ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი" და ა. ცაგარლის მიერ გადმოკეთებული მხიარული კომედია „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი".

შემოვიდა ბილეთების გაყიდვისაგან 115 მ. 30 კ., პროგრამებისა და ყვავილებისაგან 37 მ. 5 კაპ., სულ 152 მ. 35 კ., დაიხარჯა: ორკესტრს—20 მ., პარიკმახერს—11 მ., თეატრის განათება, დარბაზის მოწყობა და დეკორაციები—11 მ. 50 კ., აფიშები და პროგრამები 7 მ., აფიშების გაკვრა და ბილეთების წიგნაკი—1 მ. 60 კ., საქველ-მოქმედო მარკები—7 მ. 95 კ., ბაქოდან სურახანაში და უკანვე დასაბრუნებელი სამგზავრო ხარჯი დრამატიულ სექციის წევრებს—13 მან. 86 კაპ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 7 მ. 81 კ., სულ დაიხარჯა 80 მ. 72 კ., **დარჩა წმინდა შემოსავალი 71 მ. 63 კ.**

გიგზავნით რა ამ თანხას, უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული შეუერთოდ არჩილის ძეგლისათვის განძრახულ ფონდს და აგრეთვე ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩვენი უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც რაიმე დახმარება აღმოგვიჩინეს და წარმოდგენის გამართვაში ხელი შეგვიწყვეს. აგრეთვე მადლობას ვწირავთ წ.-კ. გ. საზოგადოების დრამატიულ სექციას, ღრმად პატივცემულს ბ-ნს ა. მ. ბენკენდორფს, თეატრის უფასოდ დათმობისათვის და აგრეთვე ბ-ნ პ. ტ. მაჭავარიანს, რომელიც მეტად მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენს საღამოში.

სურახანელ მუშათა ერთი ჯგუფის მონდობილობით **მ. გ. დათეშიძე** და **ა. ნ. გოცირიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**-პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი ზ. ა. მიძულაძე.
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათა** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაზანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004



СИРОЛИНЪ РОШЪ
სიროლინი „როშ"-ი
ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამხსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ყაზზობისა, ყივანახველისა, ინფლუენციისა, ხველებისა, ფილტვების ანთების შემდეგ.
უზრუნველმყოფელია
ჭლექის წინააღმდეგ,
მადას აუმჯობესებს, ნარკოსტიულ ნივთიერებთაგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.
იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში.
მოითხოვეთ უსათუოდ **სიროლინი „როშ"-ი** ქარხნის ორიგინალურ გასახვევით.
20674 1136.

კახეთის რკინის გზა
ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „**კავკაზის**" რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს**. 198

ექიმი კბილისა **ნინო ჩაცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

კბილის ექიმი **ა. გ. ხოლოდაშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. **კვირ.** ავადმყ. **არ** იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

იყიდება
ტრაქტირი,
პატრონის შემთხვევით ქალაქიდან წასვლის გამო. შეიძლება **იჯარით გაცემაც.** დაწვრილებით ცნობები მოიკითხეთ სასტუმრო „კავკაზ"-ის შვეიცარ **აფინოგთან.** 296

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
მმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
იშხანი,
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჩიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".